სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება

მატჩი	თბ „ლელო სარასენს“ - ქუთაისის „აია“		
გუნდი	ქუთაისის „აია“	შეჯიბრი	დიდი 10
მატჩის თარიღი	12/02/2024	მატჩის ადგილი	თბილისი, ლელო არენა
რეგულაცია	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია.		

დარღვევის აღწერა			
სტატუსი	მოთამაშე	დაბადების თარიღი	21/03/2003
სახელი, გვარი	გიორგი ნიკოლაძე		
☒მსაჯი ☐საითინგ კომისარი	მსაჯი, საბა მახარაძე; კიდის მსაჯი, იოსებ ჯაფარიძე	დარღვევა	☒ აღიარებულია ☐ უარყოფილია
დარღვევა	9.28 (ბ) მოთამაშემ არ უნდა შეურაცხყოს სიტყვიერად მატჩის ოფიციალური პირები. სიტყვიერი შეურაცხყოფა მოიცავს შეურაცხყოფას რელიგიის, კანის ფერის, ეროვნული ან ეთნიკური წარმოშობის, სექსუალური ორიენტაციის მიხედვით.	☐ წითელი ბარათი ☒ საითინგი ☐ სხვა თუ „სხვა“ აღწერეთ :	

განხილვის დეტალები			
განხილვის თარიღი	14/02/2024	განხილვის ადგილი	სრკ-ს ოფისი
თავმჯდომარე	მირიან თავზარაშვილი		
სადისციპლინო კომისიის წევრები	ირაკლი ჩიქავა, ედუარდ ნაჭყებია, ვახტანგ სამხარაძე		
დამრღვევის დასწრება	☒ კი(დისტანციური) ☐ არა	სხვა დამსწრეები : ☐ კი ☐ არა	
დამრღვევის წარმომადგენელი		აღნიშნეთ ვინ	
განხილვამდე დამრღვევისთვის მიწოდებული დოკუმენტები/მასალები	1. მატჩის მსაჯის, საბა მახარაძის საითინგი; 2. მატჩის კიდის მსაჯის, იოსებ ჯაფარიძის საითინგი; 3. ინციდენტის ამსახველი ვიდეომასალა;		

ფაქტობრივი მოცემულობბები, დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და დამხმარე მასალები (მატჩის ოფიციალური პირების და/ან პიროვნებების მოხსენებები, აუდიო/ვიდეო მასალა).

4. მატჩის მსაჯის, საბა მახარაძის საითინგი;
5. მატჩის კიდის მსაჯის, იოსებ ჯაფარიძის საითინგი;
6. ინციდენტის ამსახველი ვიდეომასალა;

დარღვევის სხვა მხარდამჭერი მასალები (მათ შორის სამედიცინო პირის მოხსენება)

არა

დამრღვევის/წარმომადგენელის განცხადება

ქუთაისის „აია“-ს მოთამაშის გიორგი ნიკოლაძის განცხადება:

1. გიორგი ნიკოლაძემ აღიარა თამაშის დასრულების შემდეგ მსაჯებთან მისვლის და პრეტენზიის გამოთქმის ფაქტი;
2. მისი პრეტენზიის შინაარსი იყო, თუ რატომ არ იქნა გადამოწმებული ვიდეორეფერისთან ინციდენტი(სავარაუდო თავში კონტაქტი) რის გამოც მან ვეღარ გააგრძელა თამაში მიღებული ტრავმის გამო;
3. გიორგი ნიკოლაძის თქმით, მას ზუსტად არ ახსოვს მიმართა თუ არა მსაჯებს რეპლიკით „სამარცხვინოები ხართ“ და თუ ასეთ მიმართვას ჰქონდა ადგილი, მან ბოდიში მოიხადა მსაჯების და სადისციპლინო კომისიის წინაშე;
4. გიორგი ნიკოლაძემ გულწრფელად მოინანია მისი მხრიდან მომხდარი არამართებული ქცევის ფაქტი, წუხილი გამოთქვა მომხდარის გამო და მოიბოდიშა სადისციპლინო კომისიის წინაშე;

ფაქტობრივი მოცემულობზე მსჯელობა

1. მატჩის კიდის მსაჯის, იოსებ ჯაფარიძის საითინგი (ციტირება) – “მატჩის დასრულების შემდეგ 1 ნახევარში შეცვლილი მეორე ხაზელი გიორგი ნიკოლაძე მოვიდა ჩემთან და მთავარ მსაჯ საბა მახარაძესთან. ის აპროტესტებდა ჩვენს მიერ მიღებულ და არ მიღებულ გადაწყვეტილებებზე. მეორე ტაიმის მიწურულს კი საკმაოდ აგრესიულად აპელირებდა მსაჯის გადაწყვეტილებებზე და მე რომელიც ტრიბუნის მხრიდან ვმსაჯობდი საკმაოდ ხმამაღლა და აგრესიულად მიმითეთებდა რომ ვიდეო რეფერიზე რიგი მომენტები შემემოწმებინა რასაც იმ დროს ყურადღება არ მივაქციე რადგან თამაში დაძაბული იყო და ჩემი ყურადრება მთლიანად თამაშისკენ მივმართე, შემდეგ კი დასრულების შემდეგ შემდეგ ნაირი სიტყვებით მოგვამართა: „ გინდა ჩამიწერეთ გინდა არა თქვენ ხართ სამარცხვინო მსაჯები, ვიდეო რეფერიც ტყუილად გყავთ და საერთოდ არაფერს არ უყურებთ სამარცხვინოები ხართ“ მე და საბა მახარაძე გავერიდეთ სიტუაციას და შევიდით ინტერაქციაში PS: მატჩის ჩანაწერში ჩანს მისი მოსვლა ჩვენთან”
2. მატჩის მსაჯის, საბა მახარაძის საითინგი (ციტირება) – „თამაშის დასრულების შემდეგ ქუთაისის „აიას“ 5 ნომერი გიორგი ნიკოლაძე, რომელმაც თამაშის მიმდინარეობისას

დატოვა მოედანი ტრავმის გამო და აღარ იყო სათამაშო ფორმაში, შემოდის სტადიონზე და მომმართავს მე და ჩემს თანამსაჯს რეპლიკებით: „არაფერს თქვენ არ უყურებთ, წადით და დამიწერეთ ახლა საჩივარი. ეს ვიდეო მსაჯიც ტყუილად გყავთ. სამარცხვინოები ხართ“ რაც მე მივიღე, როგორც სიტყვიერ შეურაცხყოფად, აღარ ჩავთვალე საჭიროდ გამწვავება სიტუაციის და ვთხოვე მის თანაგუნდელებს გაეყვანათ ჩემგან მოშორებით. თამაში მიმდინარეობდა დაძაბულ, მაგრამ სანახაობრივ და სპორტულ გარემოში, რის გამოც ვერ ვხედავ მიზეზს ამ მოთამაშის აგრესიის და ჩემს და ჩემი კოლეგების მიმართ სიტყვიერი შეურაცხყოფის.“

სადისციპლინო კომისიამ იმსჯელა სხდომაზე წარმოდგენილ საითინგებზე (და მის თანდართულ დოკუმენტაციაზე), მიიჩნევს რომ მოთამაშის ქმედება წარმოადგენს სადიციპლინო რეგულაციის დარღვევას, კერძოდ მოთამაშემ დაარღვია სრკ სადისციპლინო რეგულაციის დანართი #1-ს 9.28 (ბ) პუნქტი. (9.28 (ბ) მოთამაშემ არ უნდა შეურაცხყოს სიტყვიერად მატჩის ოფიციალური პირები. სიტყვიერი შეურაცხყოფა მოიცავს შეურაცხყოფას რელიგიის, კანის ფერის, ეროვნული ან ეთნიკური წარმოშობის, სექსუალური ორიენტაციის მიხედვით).

სადისციპლინო კომისიამ ასევე ისჯელა მოთამაშის დარღვევის სიმძიმეზე, გაითვალისწინა მოთამაშის მიერ მსაჯის მიმართ გამოყენებული ლექსიკა, გამოხატული აგრესია, დარღვევის ხანგრძლივობა და შეაფასა როგორც სრკ სადისციპლინო რეგულაციის დანართი #1-ს 9.28 (ბ) პუნქტით გათვალისწინებული დარღვევის დაბალი ზღვარი.

სადისციპლინო კომისიამ ასევე იმსჯელა დამრღვევი მოთამაშის შემამსუბუქებელ/დამამძიმებელ გარემოებებზე. სხდომაზე წარმოდეგნილი მასალებისა და მოთამაშის ქმედებიდან გამომდინარე კომისიის წევრები თვლიან რომ მოთამაშეს არ აქვს დისციპლინარული რეგულაციის დარღვევის დამამძიმებელი გარემოება, რაც შეეხება მოთამაშის შემამსუბუქებელ გარემოებას, კომისია მიიჩნევს რომ მოთამაშეს აქვს შემდეგი შემამსუბუქებელი გარემოებები: მისი ქცევა სატელეფონო გამოკითხვისას, სადისციპლინო ისტორია და გამოუცდელობა.

სადისციპლინო კომისიამ დაადგინა

ფაქტობრივ მოცემულობებზე მსჯელობის შემდეგ, სადისციპლინო კომისისმ დაადგინა:

1. თამაშის დასრულების შემდეგ ქუთაისის „აია“-ს მოთამაშე, გიორგი ნიკოლაძე მივიდა მსაჯებთან და პრეტენზია გამოთვა მსაჯების მიერ ერთერთი ინციდენტის ვიდეორეფერისთან არგადამოწმების შესახებ;
2. გიორგი ნიკოლაძემ მსაჯებს მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, კერძოდ მიმართა მათ რეპლიკით „სამარცხვინოები ხართ“;
3. სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის 5.1 პუნქტის და დანართი #1-ს 9.28(ბ) წესის დარღვევისთვის განსაზღვრული სიმძიმის ზღვრების მიხედვით, დისციპლინარული დარღვევის სიმძიმე შეფასდა როგორც „ქვედა ზღვარი“-ს შესაბამისი.

ზემოჩამოთვლილ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით, სადისციპლინო კომისიამ მიიღო :

გადაწყვეტილება			
დარღვევის სტატუსი:	☒ მიღებულია	☐ უარყოფილია	☐ სხვა (აღწერეთ)

სანქცირების პროცედურა
სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის 5.1 პუნქტით განსაზღვრული **დარღვევის სიმძიმის შეფასება**
☐ **შეგნებული/წინასწარ განზრახული** ☐ **წინდაუხედავი/გაუფრთხილებელი**
დარღვევის სახის დადგენის საფუძველი
თამაშის დასრულების შემდეგ მოთამაშემ გააპროტესტა მსაჯის კონკრეტული გადაწყვეტილება რა დროსაც სიტყვიერად შეურაცხყო მსაჯები.
დამრღვევის მოქმედების სიმძიმე:
მსუბუქი;
მოთამაშის ქმედების ბუნება, მ.შ. რით მოქმედებდა მოამაშე (მუშტი, თავი, იდაყვი, მხარი, მუხლი, ფეხი):
ჰქონდა თუ არა ადგილი პროვოცირებას:
სურდა თუ არა მოთამაშეს თავისი ქმედებით სამაგიეროს გადახდა და როგორ იყო ეს დროში განაწილებული:
მოთამაშის მხრიდან ჰქონდა თუ არა ადგილი თავდაცვას (ანუ, მოუწია თუ არა მას გარკვეული ძალის გამოყენებით საკუთარი თავის დაცვა):
რა გავლენა მოახდინა მოთამაშის ქმედებებმა დაშავებულზე (მაგ. ტრავმის სიმძიმე, დაშავებული მეტოქის მოედნიდან გაყვანა):

დარღვევის გავლენა მატჩის მსვლელობაზე
დაშავებულის დაცულობის ხარისხი
დარღვევის ფაქტში ჩართულობის დონე და წინასწარი განზრახვა;
შესრულდა მოთამაშის მიერ განზრახული ქმედება თუ მცდელობით შემოიფარგლა;
დარღვევასთან დაკავშირებული მოთამაშის ქცევის სხვა ნებისმიერი ასპექტი.

დარღვევის ხარისხის შეფასება. **სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციების დანართი 1 -ის და/ან დანართი 4-ის მიხედვით**
ქვედა ზღვარი 6(ექვსი) კვირა/თამაში. შუა ზღვარი კვირა ზედა ზღვარი კვირა*

*ზედა ზღვარით შეფასების დროს სადისციპლინო კომისია კვირების რაოდენობას განსაზღვრავს ზედა და მაქსიმალურ ზღვარს შორის.

ზედა ზღვარის მინიჭების განმარტება:

შესაბამისი შემამსუბუქებელი ფაქტორები:

სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია 5.7

დამრღვევის მიერ დანაშულის/შეცდომის აღიარება და აღიარების დრო; (5.7ა))	**დადებითი სადისციპლინო ისტორია და/ან დადებითი რეპუტაცია;(5.7ბ))**
მოთამაშემ გულწრფელად აღიარა დისციპლინარული დარღვევა, წუხილი გამოთქვა მომხდარის გამო და მოიბოდიშა სადისციპლინო კომისიის წინაშე.	სუფთა სადისციპლინო ისტორია
მოთამაშის ახალგაზრდობა და გამოუცდელობა;(5.7გ))	**ქცევა განხილვამდე და განხილვის პროცესში; (5.7დ))**
ახალგაზრდა, 21 წლის	სამაგალითო
დამრღვევის მიერ ჩადენილი საქციელის გამო სინანულის გრძნობის ე.წ. მსხვერპლისთვის დემონსტრირება და ამ დემონსტრაციის დრო;(5.7ე))	**ნებისმიერი სხვა შემამსუბუქებელი გარემოება (5.7ვ))**

დაკლებული კვირების რ-ბა: 4 (ოთხი) კვირა/თამაში

კვირების დაკლების მიზეზის მოკლე აღწერა : სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის 5.9 და 5.10 პუნქტების მიხედვით, ყველა არსებული შემამსუბუქებელი ფაქტორების გათვალისწინებით, სადისციპლინო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება სანქციის 50%-ზე მეტით შემცირების შესახებ.

შესაბამისი დამატებითი დამამძიმებელი ფაქტორები:

სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია 5.5

მოთამაშის / პიროვნების უარყოფითი სადისციპლინო ისტორია; (5.5 ა))
არა
დარღვევისგან თავის შეკავების ვალდებულება; (5.5 ბ))
არა
ნებისმიერი სხვა დამამძიმებელი გარემოება; (5.5 გ))
არა

დამატებითი კვირების რ-ბა: არა

სანქცია

- **სანქცია მოიცავს წითელი ბარათით ან საითინგ კომისარის საითინგით შეყოვნებული(სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია 3.6) მოთამაშეების/პიროვნებების შეყოვნების პერიოდში შესულ თამაშ(ებ)ს/პერიოდს.**

დისკვალიფიკაცია (კვირა/პერიოდი) **სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია 6.1 ა) - ე)**	2 (ორი) კვირა/თამაში	☐ **წითელი ბარათი საკმარისია**
დისკვალიფიკაციის დაწყების თარიღი	15/02/2024	
დისკვალიფიკაციის დამთავრების თარიღი. დისკვალიფიკაციის პერიოდში შესული თამაშები.	04/03/2024 (დიდი 10-ს საშეჯიბრო ცხრილის მიხედვით)	
ფულადი ჯარიმა და გადახდის ვადა. სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია 9.4. ბ)	არა	
სხვა შეზღუდვები/გაფრთხილება	დისკვალიფიკაციის პერიოდში დისკვალიფიცირებულ მოთამაშეს ეკრძალება სრკ-ს მიერ ორგანიზებული ნებისმიერი დონის თამაშის დროს სათამაშო პერიმეტრში* ყოფნა. *სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია 2. ტერმინთა განმარტება: 2.13. **სათამაშო პერიმეტრი** - სათამაშო მოედანი და მისი მიდებარე ტერიტორია (ტექნიკური ზონა, სინ ბინი, მატჩის კომისრის ადგილი და ა.შ.). არ მოიცავს სტადიონის ტრიბუნებს.	

თავმჯდომარე ხელმოწერა	მირიან თავზარაშვილი	**თარიღი**	15/02/2024

- **გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სრკ-ს სააპელაციო კომისიაში, გადაწყვეტილებაზე დაფიქსირებული თარიღიდან 72 (სამოცდათორმეტი) საათის განმავლობაში. სრკ-ს სააპელაციო კომისიის დებულება** [საპელაციო-კომისიის-დებულება.pdf (rugby.ge)]